

შოი არაგვისპირელის „თამაშობანის“ დიდაქტიკური მორალი¹

ნინო კოჭლოშვილი

ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველო

nkochloshvili@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.20>

შოი არაგვისპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობის თავისთავადობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფოლკლორული მასალის უხვად გამოყენებაა.

ქართული ხალხური სიტყვიერების მიმართ მწერლის განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ საგულისხმო დაკვირვებები ეკუთვნის მკვლევარს ქსენია სიხარულიძეს. მისი თქმით, მწერლის მიერ ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მოხმობა ნაწარმოების იდეური საზრისის მკითხველამდე მიტანის ერთ-ერთი საშუალებაა, „ნოველაში „ადამიანი“ ქალაქურ-მეშჩანური სიმღერა „სანამ გვექონდა ფულები“ ახასიათებს სტუდენტთა მძიმე ყოფას. ნაწარმოებში „ყველაი დავკარგე“ ხალხური სიმღერები გამოხატავს დაცინვას გაფუქსავატებული ახალგაზრდობისადმი. ამავე ნოველაში მუსიკა წარმოდგენილია ადამიანის მოქმედების სტიმულად. ბარამის მიერ სალამურის დაკვრამ ააფორიაქა მარო. ბობოლეების ნებივრობასა და თავგასულობას გვაცნობს სუფრული სიმღერები ნოველაში „ჩემი ბრლი არ არის ღმერთო“. ხოლო იგი ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნის საშუალებადაა გამოყენებული ნოველაში „ვცხოვრობთ“. საყოფიერო სიმღერას წარმოგვიდგენს საქორწილო სიმღერა „გაბზარულ გულში“.

შოი არაგვისპირელის ნაწარმოებების იდეურ მხარესთან არის ასევე დაკავშირებული მწერლის მიერ მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი ქართული ხალხური ანდაზების საინტერესო ნიმუშებიც.

ნოველისტის შემოქმედებაში ხშირია ზღაპრული ელემენტების გამოყენების შემთხვევებიც. ზღაპრის თქმის ტრადიცია ორგანული ნაწილია შოი არაგვისპირელის მოთხრობისა „და-ძმა“. მწყემსთა სულისკვეთებას, გაიძვერა ტერტერისადმი ხალხის სიძულვილს მწერალი გვამცნობს სატირული ნოველით ქოსასა და ტერტერას შესახებ. ამავე ნაწარმოებში ობოლი ბავშვების სივალაღა დახატული ზღაპრული პერსონაჟების გამოყენების საშუალებით. ავი დედინაცვლისგან გაქცეულ საბძელს თავშეფარებულ და-ძმას სულ დევები და ქაჯები ეჩვენებოდა. ფილოსოფიურ ნოველას „შემუსვრილი სამი მცნება“ მწერალმა ლეგენდარული ამბავი უწოდა. ეს ნაწარმოები სიუჟეტურად დამოუკიდებელია ხალხური შემოქმედებისაგან. გამოყენებულია ხალხური თქმულებებისა და ლეგენდების საინტერესო ნიმუშები.

რომანის „გაბზარული გულის“ სიუჟეტის განვითარებაში გმირთა ხასიათებისა და საყოფიერო სცენების შექმნაში მნიშვნელოვანია ზღაპრული ფორმულები „იყო და არა იყო რა“, „ვინც წლობით იზრდება“ და სხვა. მთავარი გმირის მახარეს ხვედრს ახასიათებს

¹ ნაშრომი მიზნადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „შოი არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა“ (FR 24- 22723) ფარგლებში.

რომანში ირემას ნაამბობი თქმულება ტყის დედოფლის შესახებ. დრმა ფსიქოლოგიურ მომენტს ქმნის რომანში მახარეს მოგონება ბავშვობაში დედისგან მოსმენილი არაკებისა და ლეგენდებისა.

შიო არაგვისპირელის მწერლური ნააზრევი თანადროული ყოფის ანარეკლი ლიტერატურული ზღაპრების საინტერესო ნიმუშებითაც იპყრობს ყურადღებას.

შიო არაგვისპირელის ინტერესის სფერო ქართული შელოცვაც ყოფილა. შელოცვა, როგორც ცნობილია ზეპირსიტყვიერების უძველესი, საყოველთაოდ გავრცელებული და მდიდარი ჟანრია. იგი თავდაპირველად სრულდებოდა მოქმედებით, დაკავშირებული იყო შრომასთან, მოქმედებასთან, შემდეგ კი მოქმედების მაგიას ჩაენაცვლა სიტყვის მაგიური ძალა.

ქართული ზეპირსიტყვიერება მდიდარია სამკურნალო და სამეურნეო შელოცვებით.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა შელოცვების საინტერესო ნიმუშები. როგორც ცნობილია ქართულ ფოლკლორულ ძეგლთა უძველესი ფიქსირებული ნიმუშები შელოცვების სახით X-XI საუკუნეებიდან არის დაცული. ქართულ შელოცვების პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის რაფიელ ერისთავს. ქართული შელოცვების ნიმუშები ქვეყნდებოდა ისეთ პერიოდულ გამოცემებში როგორცაა „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „აკაკის კრებული“, „ჯეჯილი“ და სხვა..

XIX საუკუნის პერიოდიკის ფურცლებზე შელოცვათა პუბლიკაციას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ აკაკი წერეთელი, იოსებ დავითაშვილი, ვაჟა-ფშაველა, მოსე ჯანაშვილი, გიორგი წერეთელი.

შიო არაგვისპირელის ინტერესს შელოცვების მიმართ ცხადყოფს ჩვენამდე მოღწეული მწერლის უბის წიგნაკები, სადაც სამკურნალო და სამეურნეო შელოცვების საინტერესო ნიმუშები გვხვდება.

ეროვნული ფოლკლორისადმი შიო არაგვისპირელის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქართული ხალხური თამაშობებისადმი მწერლის ინტერესიც ცხადყოფს.

ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში ხალხურ თამაშობებს უძველესი დროიდან განსაკუთრებული ადგილი ეკავა. „ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს“ (წერეთელი, 1989, 14),_ წერს აკაკი წერეთელი.

თამაშობების კეთილისმყოფელ გავლენაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას თედო სახოკიაც თავის მოგონებათა წიგნში „როგორ ვიზრდებოდი ძველად“. იგი წერს „სათამაშოდ და დროის გასატარებლად ხან მეზობლის ბავშვები გადმოვიდოდნენ ჩვენს ეზოში, ხანაც ჩვენ გადავდიოდით მათთან. საბავშვო თამაშობასა და გართობაში პირველი ადგილი ეჭირა სათამაშო კარავის გაკეთებას ჩხირებისაგან. კარებიც მოწნული ჰქონდა ჩვენს კარვებს. მოწნული ქოხები, ადვილი და სახელდახელოდ საკეთებელი, სადგომად და საცხოვრებლად სამეგრელოში მაშინ იშვიათი არ იყო. ასეთი ქოხები პროტოტიპი უნდა ყოფილიყო აქაური ძველებური სახლებისა.

მაგრამ ყველზე საუკეთესო და დასამხარი ადგილი იყო „კაკალთან“. საუკეთესო, ტკბილად მოსაგონარი დრო ჩემი ნორჩი ყრმობისა ამ კაკალთან არის დაკავშირებული და არა მარტო ჩემი, არამედ ყველა ჩემი ტოლისა“ (სახოკია, 1955, 10).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართულ ხალხურ თამაშობებს სამღვდელობაც დიდ ყურადღებას აქცევდა, თამაშობები არა მხოლოდ ერის ფიზიკური განვითარების საშუალებად მიაჩნდა, არამედ სულიერი გაჯანსაღების საწინდრად. ამიტომაც ეიმედებოდა ხალხური თამაშობებით გამოზრდილი თაობა ქართული მატერიალური თუ სულიერი კულტურის გადარჩენის საქმეში.

ეკლესიის ეზო, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ხშირად ხალხური თამაშებისა და ვარჯიშისათვის განკუთვნილი ინვენტარის შენახვის ადგილიც იყო.

იაკობ გოგებაშვილი ხალხური თამაშობანის მიმართ სასულიერო სემინარიის ინსპექტორის გერასიმე ქიქოძის დამოკიდებულების შესახებ გვამცნობს: „გერასიმე ქიქოძის მოსვლამდე სემინარიაში თამაშობებს გარდუვალ ბოროტებად თვლიდნენ, გერასიმე ქიქოძის დროს კი პირიქით; თვით ინსპექტორი ყოველმხრივ აქეზებდა საბავშვო თამაშობებს და საეჭვოდ უცქერდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც მათში არ მონაწილეობდნენ. მის დროს სემინარიის ეზო ყოველდღიურად, ნასადილევს მრავალგვარ წესიერ თამაშობათა ასპარეზს წარმოადგენდა. თამაშობანი იმართებოდა ვახშმის შემდეგაც. ყოველივე ამის შემდეგ სემინარიაში შემცირებულა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რაც ძლიერ ყოფილა დამახასიათებელი დახურული სასწავლებლისათვის. შემცირებულა დაავადებულთა რიცხვი და ამალლებულა წარმატება“ (გოგებაშვილი, 1954, 39-40).

შიო არაგვისპირელის პირად აქრივში ქართული ხალხური თამაშობების საინტერესო ნუმუშებია დაცული. ეს თამაშობები მწერალს თავის ხელით ჩაუწერია:

„თავიდავლა“

მოთამაშეთა რიცხვი 10-15. ადგილი ოთკუთხა. 10-15 ნაბიჯის სიგრძე თითო მხარესი. შუაგულს ერთი მოთამაშეთაგანი მოიკეცავს, მეორე კიდევ თავზე ხელს ადებს და გარს უვლის. დანარჩენები ცდილობენ მჯდომარეს დაარტყან. რომელიც გარს უვლის, ის არ უშვებს დასარტყმელად, უგერიებს მეორე ხელით და თუ ვისმე ხელს წაავლებს, ან მოარტყავს, ის უკვე გაჭრილად ითვლება და ახლად გაჭრილი დაჯდება შუაგულს. ის კი, რომელიც იჯდა, თავს უვლის (N 16098).

„ძერა-ძერა“

მოთამაშეთა რიცხვი 10-12. სათამაშო ადგილი ოთხკუთხი; 15-20 ნაბიჯამდის თითო მხარესი. მოთამაშენი ერთის გარდა, რომელიც ძერად ჩაითვლება მწკრივად დგებიან ერთი მეორის უკან და ხელები წელზე უვლიათ. ძერა შუაგულში ჯდება და ჩხირით მიწას ჰქექავს. დანარჩენები გარს უვლიან და ეკითხებიან: „ძერავ, ძერავ რას აკეთებ?!“ „ჩიტა-ფაფასა!..“ „ვისთვის გინდა?...“ კრუხი ჩამოივლის თავის წიწილებით. რო დაინახავს ასაკუნად მოვლენ და მეც დავიჭერ“ – უპასუხებს ძერა. თავი დამვლელით ჟრამული შეუდგებათ. უი, უი, შენ მაგითი ვერ მოგვატყუებო“. და საჩქაროდ გაგრძელებიან. ძერა წამოხტება და ცდილობს უკანასკნელი დაიჭიროს. პირველი კი ძერას წინ ელობება. თუ ძერამ დაიჭირა, მაშინ დაჭერილი ძერად ხდება პირვანდელი ძერა კი წინ დგება და ახლა ეს იფარავს დანარჩენებს (N 16098).

„ნათლიდედა“

მოთამაშეთა რიცხვი 5-15. ოთკუთხა ადგილი. თითო მხარის სიგრძე 10-15 ნაბიჯამდის. მოთამაშენი ირგვლივ დგებიან. თავიანთ ადგილებს პატარა ორმოებით ან კიდევ ქვებით ჰნიშნავენ. ერთი კი შუაში დგება და რომელსამე მოთამაშეს მიჰმართავს ამ სიტყვებით: „ნათლიდედა, გასალები მომეცი!“; ის კი პასუხად ეუბნება: „აგერ, იქით სთხოვე!“ როდესაც მიბრუნდება, მაშინ ყველა მოთამაშეთ ადგილები უნდა შეიცვალოს. შუაგულში მდგომიც ცდილობს ვისიმე ადგილი დაიჭიროს. თუ დაიჭირა ვისიმე ადგილი, მაშინ ვინც უადგილოდ დარჩება, ის შუაში დგება და ისევ-ისევ აგრძობენ თამაშს (N 16098).

„ყაჩაღები“

მოთამაშეთა რიცხვი 10-20. ადგილი ოთკუთხა. თითო მხარე 30 ნაბიჯია. ერთი მოთამაშეთაგანი გუშავად ითვლება. დანარჩენები ირჩევენ ადგილებს და დადგებიან. გუშავი დადის და ვისაც ის ხელს წაავლებს ან ვის სახელს დაიძახებს, უნდა მივიდეს და

ხელი დაუჭიროს. გუშაგი დადის ისევ და ახლა სხვას მიიხმობს. აგრე დადის ვიდრემდის ყველა მოთამაშენი ერთმანეთს ხელს არ ჩაკვიდებენ. შემდეგ გუშაგი გაუძღვება წინ და ისე ატარებს, ვიდრემდის ხელ_ჩაკვიდებულთაგან ხვეულს არ გააკეთებს. სწორედ ამ დროს დაიყვირებს გუშაგი: „ყაჩაღებიო“. ამის გაგონებაზედ ყველანი გაიქცვიან და ადგილებს იჭერენ. რადგანაც ერთი უადგილოდ დარჩება, ამისთვის ახლა ის გახდება გუშაგად(N 16098).

„თაგვი და კატა“

მოთამაშეთა რიცხვი 10-30. სიგრძე-სიგანე 20-30 ნაბიჯი. ორი მოთამაშის გარდა ხელი-ხელ ჩაბმულები წრეს აკეთებენ. ორივე ერთ თაგვს წარმოადგენს, მეორე კი კატას. თაგვი წრის შუა დგება. კატა კი გარედგან. კატა სცდილობს წრის შუა შევიდეს და თაგვი დაიჭიროს, მაგრამ მოთამაშენი არ უშვებენ. თუ ვინცობაა კატა შევარდა წრის შუა, მაშინ თაგვი გარედან გარბის. მოთამაშენი გზას აძლევენ თაგვს. კატას კი უღებენ. როდესაც კატა დაიჭერს თაგვს, მაშინ იგინი წრეში რჩები და იმათ მაგივრად სხვები გამოდიან(N 16098).

„ქორი“

მოთამაშეთა რიცხვი 6-20. სიგრძე-სიგანე ადგილისა 30. წილის ყრის შემდეგ ერთი ქორად რჩება. ქორი დასდევს დანარჩენებს დასაჭერად. თუ დაიჭირა ვინმე, მაშინ დაჭრილი ხდება ქორად(N 16098).

„კოჭლი ქორი“

თუ ვინცობაა ადგილი პატარაა, მაშინ ქორი დასაჭერად კინკლით დასდევს(N 16098).

„ლახტი“

მოთამაშენი მჭიდროდ ერთი ერთმანეთის გვერდით დგებიან ირგვლივ. ყველას ხელები უკანა აქვთ. ერთი კი გარს უვლის და ხელში ლახტი უჭირავს. უკან არავინ უნდა იხედებოდეს. გარს მოსიარულე ხელში აძლევს რომელისამეს ლახტს ისე, რომ სხვები არ მიჰხვდნენ. იმის შემდეგაც, როდესაც მისცემს, სიარულს მაინც არ შესწყვეტავს, რომ სხვებმა არ გაიგონ. რომელსაც ლახტი ერგება რამდენიმე წამის შემდეგ, ის მარჯვნივ მდგომ მეზობელს ლახტით ცემას დაუწყებს. მარჯვნივ მდგომი გარბის წრის გარედგან. ირგვლივ ვიდრემდის თაგვის ადგილამდის არ მივა. ლახტის პატრონი კი უკან მისდევს და სცემს. პირველი გარბს მოსიარულე დგება წრეში იმის ადგილას, რომელსაც ლახტი მისცა. უკანასკნელი კი ახლა იმავე წესით სხვას აძლევს ლახტს.

თავ-პირში ცემა აღკრძალულია(N 16098).

როგორც ცნობილია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ქართული ხალხური თამაშობანის პირველი კრებული 1945 წელს გამოსცა ზაქარია შერაზადიშვილმა, 1965 წელს მან მეორე დამოუკიდებელი კრებულის გამოცემაც განახორციელა. შიო არაგვისპირელისეული თამაშობანი „თავიდავლა“, „ყაჩაღები“, „ძერა-ძერა“, „ნათლიდედა“ ამ კრებულებში არ დასტურდება, დანარჩენი თამაშობანი კი კარგად ნაცნობი ქართული ხალხური თამაშობანის ვარიანტული სხვაობებია.

შიო არაგვისპირელის მიერ მოძიებული ქართული ხალხური თამაშობანი ისევე როგორც ზემოთ ნახსენებ კრებულებში წარმოდგენილი თამაშობანის არერთი ნიმუში „ქორაწიწილაობა“, „ქორაჯინჯილაობა“, „ქორობუდობანა“, „ღვედობანა“, „მგელობანა“, „ბურთაობა“, „კალობურთი“, „ლელო“, „კაკლაობა“, „კენწლაობა“, „კოჭაობა“, „კოდობანა“ „სახტომელა“ და სხვა. აღმზრდელობით-დიდაქტიკური მორალის მატარებელია. ისინი არა მარტო ბავშვის ფიზიკურ აღზრდას უწყობს ხელს, არამედ მის მრავალმხრივ განვითარებას. ბავშვს აჩვენებს თავგანწირვას, გონება-მახვილობას, ერთგულებას, სიმტკიცეს, თავდაცვას, უპირობო წესრიგს, თანამებრძოლეობას, უვითარებს სულიერ სიმტკიცეს, ამავდროულად მოზარდში იწვევს ინტერესს ეროვნული წეს-ჩვეულებების მიმართ,

ზოგადად ბავშვს გამოუმუშავებს ყველა იმ აუცილებელ თვისებას, რაც ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების ფორმირებას განაპირობებს.

ეროვნულმა ფოკლორულმა მონაპოვარმა შიო არაგვისპირელის შემოქმედებით თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში მრავალმხრივი ასახვა ჰპოვა. რაც შეეხება ქართული ხალხური თამაშობების მიმართ მწერლის ინტერესს, ბუნებრივია. სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლა იმ დროს დაემთხვა, როდესაც ყოველგვარი ეროვნული ფეხქვეშ ითელებოდა, ხალხური თამაშობანიც აგრესორისთვის ერთ-ერთი სამიზნე იყო. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიცია დევნიდა არა მარტო ჯირითსა და ჭიდაობას, არამედ თამაშობებსაც კი, როგორც ფიზიკური განვითარებისა და ორგანიზაციული მოქმედების საფუძველს. მწერლის თანამედროვენი განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენდნენ ქართული ხალხური თამაშობანის პოპულარიზაციისთვის, აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პერიოდული პრესა.

მომავალი თაობის სწორად აღზრდა-განვითარების საჭირობოტო საკითხებს შიო არაგვისპირელი მხოლოდ მწერლური ნაზრევით როდი ეხმიანებოდა, მან იმდროინდელი პედაგოგიკის მახინჯი მხარეების მიმართ მაშინდელი მთავრობის მესვეურთა მიმართ მიწერილი კრიტიკულ-მამხილებელი პათოსით სავსე წერილითაც აღიმალა ხმა. ქართულ ხალხური თამაშობების პოპულარიზაციით ნოველისტის დაინტერესებაც ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა.

საკვანძო სიტყვები: შიო არაგვისპირელი, „თამაშობანი“, დიდაქტიკური მორალი

ლიტერატურა:

1. არაგვისპირელი შ. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, N16098;
2. გაგულაშვილი ი.(1986), „ქართული მაგიური პოეზია“, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი;
3. გოგებაშვილი ი.(1954), „რჩეული პედაგოგიური ნაწერები“, ტ.3, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი;
4. კოჭლოშვილი ნ.(2005), „შიო არაგვისპირელის ცხოვრება და შემოქმედება“, გამომცემლობა „თობალისი“, თბილისი;
5. სახოკია თ.(1955), „როგორ ვიზრდებოდი ძველად“, გამომცემლობა „საბლიტგამი“, თბილისი;
6. სიხარულიძე ქ.(1966), „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
7. შერაზადიშვილი ზ.(1965), „ლახტი, ქართული თამაშობანი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი;
8. წერეთელი ა, (1989). „რჩეული ნაწერები“, ტ.III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი“;
9. ჯაფარიძე გ. (1990). „ხალხური თამაშები და ვარჯიშები რევოლუციამდელი პრესის ფურცლებზე“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

The Didactic Moral of Shio Aragvispireli's "Playground"

Abstract

One of the defining features of Shio Aragvispireli's literary heritage is the abundant use of folklore material. Significant observations about the writer's special attitude towards Georgian folk language belong to researcher Ksenia Sikharulidze. According to her, the writer's use of folk language samples is one of the ways to convey the ideological meaning of the work to the reader.

The ideological side of Shio Aragvispireli's works is also connected with interesting samples of Georgian folk proverbs, which the writer used with high artistic skill.

The novelist's work also frequently uses proverbial elements. Shio Aragvispireli's literary thought, reflecting contemporary life, also attracts attention with interesting samples of literary fairy tales. Shio Aragvispireli's sphere of interest was also Georgian incantations. Incantations.

Shio Aragvispireli's special attitude towards national folklore, in addition to the above, is also demonstrated by the writer's interest in Georgian folk games.

Folk games have occupied a special place in the life of Georgians since ancient times.

Interesting examples of Georgian folk games are preserved in Shio Aragvispireli's personal archive. The writer wrote down these games in his own hand.

As is known, the first collection of Georgian folk games collected from different parts of Georgia was published in 1945 by Zakaria Sheradishvili, and in 1965 he also published a second independent collection. Shio Aragvispireli's games "Tavidavla", "Kachagebi", "Dzera-Dzera", "Tytideda" are not attested in these collections, while the rest of the games are variant variations of well-known Georgian folk games.

The Georgian folk games discovered by Shio Aragvispireli, as well as many examples of games presented in the above-mentioned collections, carry educational-didactic morality.

The national folklore heritage found a multifaceted reflection in Shio Aragvispireli's creative and public activities. As for the writer's interest in Georgian folk games, it is natural. His appearance on the stage of creativity coincided with a time when all nationalities were being trampled underfoot, and folk games were one of the targets for the aggressor. The writer's contemporaries made special efforts to popularize Georgian folk games, a clear confirmation of this is the Georgian periodical press of the late 19th century and the first half of the 20th century.

Shio Aragvispireli did not only address the urgent issues of the proper upbringing and development of the future generation through his literary works; he also raised his voice against the ugly aspects of the pedagogy of the time in a letter full of critical and denunciatory pathos addressed to the leaders of the then government. The novelist's interest in the popularization of Georgian folk games also stemmed from the necessity of the spiritual and physical health of the nation.

Keywords: Shio Aragvispireli, Didactic Moral , "Playground"